ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5783431

ნომერი: AR1873689

თარიღი : 20.01.2022

გაცემის თარიღი : 31.01.2022

გაცნობის თარიღი : 01.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრო/რაიონი, N 19 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ასათიანი პ/ნ 01007013465
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 1 ბ. 64

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 20 იანვარს №AR1873689 განცხადებით მომართა ირაკლი ასათიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 19

ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებით №01.10.08.005.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 07 ნოემბრის №4253062 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2021 წლის 01 თებერვლის №5270332 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 5870.5 კვ.მ., ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 584.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი: 520.7 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 3601.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3538.2 კვ.მ., კომერციული ფართობი 321.5 კვ.მ-ის ნაცვლად 379.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 843.0 კვ.მ-ის ნაცვლად 315.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 520.7 კვ.მ-ის ნაცვლად 510.7 კვ.მ., საერთო ფართობი 5870.5 კვ.მ-ის ნაცვლად 5327.4 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმაგანმცხადებლის მიერწარმოდგენილი შეცვლილიტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულარქიტექტურულ გეგმა–ნახაზებსდა დაადგინა, რომ საპროექტოდოკუმენტაციაში არასწორადიქნა წარმოდგენილიტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომაისახა სამსახურისმიერ გამოცემულბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლისთანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მისმიერ გამოცემულინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროსტექნიკური, აგრეთვეგამოთვლის დროსდაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროსტექნიკური შეცდომამის მიერგამოცემულ ინდივიდუალურადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლისთანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდესტექნიკური შეცდომაქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებაში დატექნიკურ-ეკონომიკურმაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 3538.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად: 379.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 315.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 510.7 კვ.მ., საერთო ფართობად: 5327.4 კვ.მ.
2. ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 ბრძანება დანარჩენნაწილში დარჩესუცვლელი.
4. წინამდებარებრძანება განხილულიიქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ოქტომბრის №4222877 და 2021 წლის 01 თებერვლის №5270332 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდესქ. თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა№7), საქართველოსკანონმდებლობით დადგენილიწესით, აქტისოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.